


ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების  
სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი  
აღმოსავლეთმცოდნეობის სასწავლო-სამეცნიერო  
ინსტიტუტის  
არმენოლოგიის კათედრა



**მთარგმნელის საერთაშორისო დღისადმი  
მიძღვნილი  
VIII სამეცნიერო კონფერენცია  
თამაზ ჩხენკელი – 97**

**პროგრამა / თეზისები**

25 დეკემბერი  
2024  
თბილისი

**კონფერენციის სამეცნიერო და საორგანიზაციო კომიტეტი:**

პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი

პროფესორი დარეჯან გარდავაძე

ასოც. პროფესორი ეკატერინე ნავროზაშვილი

ასოც. პროფესორი ნინო წერეთელი

ასოც. პროფესორი ნათია ჩანტლაძე

დოქტორანტი თეა გალდავა

დოქტორანტი ირინა ნოზაძე

**რეგლამენტი:**

მოხსენება სხდომაზე – 15 წუთი

დისკუსია – 5 წუთი

**სამუშაო ენა** – ქართული.

# **პროგრამა**

**25 დეკემბერი**

**11.00 – 11.30**

## **კონფერენციის გახსნა**

*(იღია ჭავჭავაძის გამზ. 1, თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 202)*

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის  
თარგმანისა და ლიტერატურული ურთიერთობების  
ს/ს ინსტიტუტის ხელმძღვანელი,  
პროფესორი – **ნანა გაფრინდაშვილი**

## **მისალმებები**

**11.30 – 14.00**

### **I სხდომა**

*(იღია ჭავჭავაძის გამზ. 1, თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 202)*

სხდომის თავმჯდომარე – **პროფესორი ნანა გაფრინდაშვილი**

### **მანანა გელაშვილი**

თამაზ ჩხენკელის თარგმანების კრებული „მარიოტა“

### **მარიამ ფილინა**

თამაზ ჩხენკელი – ადამ მიცკევიჩის სონეტების მთარგმნელი

### **ნანა გაფრინდაშვილი**

ტირე, როგორც პოეტურ ინსტრუმენტი, კარლო კაჭარავას შემოქმედებაში

### **ქეთევან ლორთქიფანიძე, ნანა კაჭარავა**

რომანი „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“

### **ნინო წერეთელი**

40-იანი წლების თბილისის ლიტერატურული ცხოვრების ისტორიიდან – ქეთევან ანანიაშვილის ლიტერატურული წრე

### **ნიკოლოზ შამუგია**

ვარსკვლავთა საუბარი, როცა ანტიკური სახელები დუმან (ერთი მაგალითი)

### **ელიზბარ ელიზბარაშვილი**

შუმერულ-აქადური მითოსის აზრი-გენერატორი – „ნეტარი ადგილი“ სამყაროში

**14.30 –16.30**

### **II სხდომა**

(იღია ჭავჭავაძის გამზ. 1, თსუ I კოჩპუსი, აუდიტორია 202)

სხდომის თავმჯდომარე – **პროფესორი დარეჯან გარდავაძე**

### **ლეილა ბახტაძე**

თანამედროვე ებრაული საქმიან-ოფიციალური ენიდან თარგმნის თავისებურებანი

### **სოფიო მუჯირი**

ნოტაციის ტექნიკის განვითარების საკითხი გერმანული ენის მაგალითზე

## **ნაირა ბეპიევი**

ქართულ-ოსური უძველესი წიგნების თარგმანების  
ისტორიიდან (იოანე იალღუზიძე-გაბარაევი)

## **დარეჯან გარდავაძე**

„სხვის“/„უცხოს“ ხატი იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში  
„ოქროს ქვიშა“

## **მამუკა ბუცხრიკიძე**

„ქებათა ქების“ იდეურ-სტრუქტურული რემინისცენციები  
„ვეფხისტყაოსანში“

## **ნინო პოპიაშვილი**

გერმანული ლიტერატურული კავშირები საქართველოსთან  
- არტურ ლაისტი და ქართველი მწერლები

## **ნანა საგანელიძე**

მოქმედებითი გვარის ზმნური ფუძეების კუმშვისათვის  
ქართულში



# თეზისები

## თანამედროვე ებრაული საქმიან- ოფიციალური ენიდან თარგმნის თავისებურებანი

### FEATURES OF TRANSLATION FROM MODERN HEBREW OFFICIAL-BUSINESS LANGUAGE

ლეილა ბახტაძე

Leila Bakhtadze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ბიზნესენა, ენის სტანდარტი  
**Keywords:** official-business language, language standardization

ტერმინები: „ბიზნესენა“, „საქმიანი ენა“ ფართო მნიშვნელობისაა და მოიცავს საქმიან-ოფიციალური სფეროს ყველა ასპექტს – ბიზნესს, ვაჭრობას, საერთაშორისო ურთიერთობებს, პრეზენტაციებს, ოფიციალურ შეხვედრებს, მოლაპარაკებებს და ა. შ.

ზოგადად, ოფიციალურ-საქმიანი სტილის ძირითადი დამახასიათებელი ნიშნებია:

- თემისა და აზრის კონკრეტულობა;
- მიზნის გამოხატვის სიზუსტე;
- ლაკონიზმი;
- ოფიციალური დოკუმენტური სტანდარტის არსებობა;

ებრაულმა ენამ, რომელიც მე-18 საუკუნემდე მხოლოდ „ნიგნის ენა“ იყო, განვლო განვითარების მტკივნეული და რთული პროცესები, სანამ იქცეოდა ისრაელის სახელმწიფო ენად.

საქართველოსა და ისრაელის საქმიანი ურთიერთობები უკვე 20 წელზე მეტს ითვლის. ორ ქვეყანას შორის პარტნიორობის განვითარებასთან ერთად გაჩნდა საჭიროება ოფიციალური დოკუმენტაციის თარგმნისა ებრაულიდან ქართულად, და პირიქით.

ქართულიდან ებრაულ ენაზე თარგმნისას ხშირად რთულია შესაბამისი ეკვივალენტის შერჩევა, ამიტომ საჭირო ხდება სიტყვა-სიტყვითი თარგმანი, რათა თავიდან ავიცილოთ უზუსტობა.

თუ შევადარებთ სხვადასხვა შინაარსის ოფიციალურ დოკუმენტებს ქართულ და ებრაულ ენებზე, განსხვავება სტილსა და სტრუქტურას შორის საკმაოდ დიდია, რაც, პირველ რიგში, ებრაული ენის სპეციფიკას უკავშირდება.

თარგმნის პროცესში შეიძლება შეიცვალოს წინადადების წყობა, მეტყველების ნაწილები ნათარგმნ ტექსტში შეიცვალოს სხვა მეტყველების ნაწილებით, რაც იწვევს გრამატიკულ ტრანსფორმაციას და, შესაბამისად, ეს აისახება ტექსტის მოცულობაზე.

თარგმნის პროცესში იცვლება წყობა, თანმიმდევრობა და საჭიროა განსაკუთრებული ძალისხმევა, რომ ზუსტად გადმოიცეს კონტექსტი, ნიუანსი და კატეგორიულობის ხარისხი.



The term “business language” has a broader meaning incorporating all aspects of the official-business domain. The history of business relations between Georgia and Israel span over more than two decades. In parallel with the development of partnership between the two countries, the need for Hebrew into/from Georgian translation of official documents emerged. Apart from business agreements, the references/certificates, licenses, medical opinions, and legal documents (i. e., sentence, examination minutes, etc.) issued in Israel undergo translation. When translating from Georgian into Hebrew, the selection of a relevant equivalent is often complicated, therefore, word-for-word translation becomes necessary in order to avoid inaccuracies.

Unlike Georgian, where even if Georgian equivalent is available the overabundance of foreign-language terminology is striking in any official text, the Hebrew text, on the contrary, has smallest possible number of foreign terms. Even such wide-spread words as “business” (עסק, עסקים), “holding” (חברת אחיקות), “corporation” (תאגיד), “management” (הנהלה), “investment” (השקעה), and “investor” משקיע have Hebrew counterparts and international terms (specifically in written texts) are hardly ever attested.

Infinitive constructions (instruction, recommendation, order) that are typical to Hebrew add flexibility to texts, therefore, Georgian-to-English translations are shorter and the other way around. When translating from Hebrew into Georgian, there is a need for expanding the text in order to ensure the coherence of meaning.

In the course of translation, the sentence structure may be altered, parts of speech may be rendered with other parts of speech in the target text, leading to grammatical transformation and relevantly impacting the volume of the text.



ქართულ-ოსური უძველესი წიგნების  
თარგმანების ისტორიიდან  
(იოანე იალღუზიძე-გაბარაევი)

FROM THE HISTORY OF TRANSLATIONS OF ANCIENT  
GEORGIAN-OSSETIAN BOOKS  
(IOANE IALGHUZIDZE-GABARAEV)

ნაირა ბეპიევი

Naira Bepievi

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** იოანე იალღუზიძე-გაბარაევი, თარგმანები,  
ენა, ქართული, ოსური, სასულიერო, ხელნაწერი  
**Keywords:** Ioane Ialghuzidze-Gabaraev, translations, language,  
Georgian, Ossetian, theological, manuscript

იოანე იალღუზიძე-გაბარაევმა დიდი კვალი დატოვა ქართული და ოსური ლიტერატურული ურთიერთობის ისტორიაში. იგი იყო პოეტი (პოემა „იალღუზიანის“ ავტორი - დაინერა ქართულ ენაზე); ოსური დამწერლობის შემდგენელი (ქართული გრაფიკის საფუძველზე); ჩვენამდე მოღწეული პირველი ოსური ხელნაწერის ავტორი; ქართულ წიგნთა გადამწერი; თბილისის სასულიერო სემინარიის ქართული და ოსური ენების პედაგოგი; სასულიერო წიგნების მთარგმნელი (თარგმნიდა, ძირითადად, ქართულიდან ოსურ ენაზე).

იოანე იალღუზიძე-გაბარაევის თარგმანები დიდი შენაძენია ქართულ-ოსური მთარგმნელობითი ისტორიისათვის. მართალია, დიდ ყურადღებას იქცევდა სასულიერო წიგნთა მისეული თარგმანები, მაგრამ უნდა ითქვას, რომ დღემდე ბოლომდე შეუსწავლელია მისი ღვაწლი მთარგმნელობითი მოღვაწეობის სფეროში.

მოხსენებაში ჩვენ საგანგებოდ შევეხებით იოანე იალღუზიძე-გაბარაევის მიერ თარგმნილ სასულიერო წიგნებს. ცნობილია, რომ არსებობს იოანე იალღუზიძის მიერ თარგმნილი და 1820 წელს თბილისში გამოცემული „ლოცვანი საცისკრონი და სამწუხრონი“;

ამავე დროს, ცნობილია, რომ იოანე იალღუზიძემ თარგმნა და გამოსაცემად მოამზადა სახარება-ოთხთავი ქართულ ენაზე. არსებობს ამ ხელნაწერის სამი ეგზემპლარი: ერთი ინახება თბილისში (საქართველოს ცენტრალური არქივი), ერთი - მოსკოვში, ერთიც - პეტერბურგში.

მოხსენებაში მიმოვიხილავთ საქართველოს ისტორიულ არქივში დაცულ იოანე იალღუზიძე-გაბარაევის მიერ ქართულიდან ოსურ ენაზე თარგმნილ სახარება-ოთხთავს.

Ioane Ialghuzidze-Gabaraev left a significant mark in the history of Georgian and Ossetian literary relations. He was a poet (author of the poem “Ialghuziani” – written in Georgian); compiler of the Ossetian script (based on Georgian graphics); author of the first Ossetian manuscript that has survived to our time; copyist of Georgian books; teacher of Georgian and Ossetian languages at Tbilisi Theological Seminary; translator of theological, religious books (he translated mainly from Georgian into Ossetian).

The translations of Ioane Ialghuzidze-Gabaraev are a great asset to the history of Georgian-Ossetian translation. Although his translations of religious books have attracted much attention, it must be said that his contribution to the field of translation has not been fully studied to this day.

In this report, we will specifically discuss the religious books translated by Ioane Ialghuzidze-Gabaraev. It is known that there are prayers translated by Ioane Ialghuzidze and published in Tbilisi in 1820: Satsiskroni and Samtsukhroni prayers (morning and evening prayers);

At the same time, it is known that Ioane Ialghuzidze translated and prepared for publication the Gospel – Four Chapters in Georgian. There are three copies of this manuscript: one is kept in Tbilisi (National Archives of Georgia), one in Moscow, and one in St. Petersburg,.

In the article, we will review the Gospel – Four Chapters preserved in the Historical Archives of Georgia.



**„ქებათა ქების“ იდეურ-სტრუქტურული  
რემინისცენციები „ვეფხისტყაოსანში“**

**IDEOLOGICAL AND STRUCTURAL REMINISCENCES  
OF “THE SONG OF SONGS” IN “THE KNIGHT  
IN THE TIGER’S SKIN”**

**მამუკა ბუცხრიკიძე  
Mamuka Butskhrikidze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** „ქებათა ქება“, რემინისცენცია,  
„ვეფხისტყაოსანი“

**Keywords:** “The Song of Songs”, reminiscence, “The Knight  
in the Tiger’s Skin”

ბიბლიური კანონის ერთ-ერთი ავტორის, რაბი აკიბას, განცხადებით, ბიბლიის ყველა წერილი წმინდაა, მაგრამ „ქებათა ქება“ უწმინდესია მათ შორის. რაბი აკიბას შემდეგი თაობის ყველა კომენტატორი „ქებათა ქების“ ტექსტს ასევე ალევგორიულად განმარტავს. იუდეველ კომენტატორებს არც ქრისტიანი მამები ჩამორჩნენ, მაგალითად, ორიგენე ქადაგებებით „ქებათა ქებაზე“. როგორც იუდეველი, ისე ქრისტიანი კომენტატორების თქმით, ქმნილების ცენტრალური იდეა არის ადამიანის ლტოლვა ღმერთისაკენ. სიმბოლიკა შემდეგია: ღმერთი მწყემსი ვაჟია - იუდეველებთან ძველი აღთქმის ღმერთი, ქრისტიანებთან - ქრისტე, რომელსაც მწყემსი ქალწული ანუ მისი სამწყსო, იუდეველებთან ისრაელი, ებრაელი ერი, ხოლო ქრისტიანებთან ეკლესია ელტვის.

„ქებათა ქება“ ინტერტექსტია „ვეფხისტყაოსანისა“, რომლის პირველ კომენტატორად თავად ავტორი გვევლინება, რუსთაველი თავადვე ხდის ფარდას შეფარვით ნათქვამს: „მას ერთსა მიჯნურობასა ჭკვიანნი ვერ მიჰხვდებიან, / ენა დაშვრების, მსმენლისა ყურნიცა დავალდებიან; / ვთქვენ ხელობანი ქვენანი, რომელნი ხორცთა ჰხვდებიან; / მართ მასვე ჰბაძვენ, თუ ოდენ არ სიძვენ, შორით ბნდებიან“.

სხვათა შორის, პირველმა რუსთველოლოგმა, ვახტანგ მეექვსემ, თავის „თარგმანში“ ხაზი გაუსვა „ქებათა ქებისა“ და „ვეფხისტყაოსნის“ სახისმეტყველებით მსგავსებას.

ბიბლიის ტრადიციული კრიტიკა წმინდა წერილის განმარტების ოთხ მეთოდს აღიარებს, და მათ გამოხატავს ერთი სიტყვა-შემოკლებით - „ფარდეს“ (כ"ף). აკრონიმის პირველი ასო-ნიშანი ჟ ნიშნავს ჟჟ („მარტივი აზრი, ლოგიკური განმარტება“) ანუ ტექსტის ისტორიულ-ყოფითი პლანი; მეორე ასო-ნიშანი ႁ ნიშნავს ႁႁ („ნიშანი, მინიშნება“) ანუ ტიპოლოგიური მითითება, ნიმუში, რომელიც შეიცავს სამოძღვრო-ზნეობრივ დატვირთვას; მესამე ასო-ნიშანი ႁ ნიშნავს ႁჟ („ალევგორიული განმარტება, ტექსტის საგანგებო აზრით დატვირთვა“); მეოთხე ასო-ნიშანი ႁ ნიშნავს ႁႁ („საიდუმლო“) ანუ დაფარული აზრი, მოვლენათა კანონზომიერებანი, მიზეზ-შედეგთა ტრანსცენდენტური ერთობლიობა.



ბიბლიის ტექსტის (ჩვენს შემთხვევაში „ქებათა ქების“) ანაგოგიური განმარტების ზემოხსენებული „ფარდესის“ მეთოდი რელევანტურია „ვეფხისტყაოსანთან“ მიმართებითაც: 1) ქართული ეპოსი ექვემდებარება მარტივ გააზრებას, ლოგიკურ წაკითხვას („ფშატ“ – ისტორიულ-ყოფითი პლანი); 2) პოემას აქვს სამოძღვრო-ზნეობრივი დატვირთვა („რემეზ“ – მითითება, შეგონება); 3) მისი სიღრმისეული წვდომა მოითხოვს ალეგორიულ ინტერპრეტაციას („დერუშ“ – ალეგორიული განმარტება); 4) პოემა შესაძლოა განხილულ იქნეს როგორც მკაფიოდ გამოსატული ეზოთერული, „საღმრთოდ გასაგონი“ შინაარსის ქმნილება („სოდ“ – საიდუმლო, ქმნილების დაფარული მხარე).

According to Rabbi Akiba, one of the authors of the biblical canon, all the writings of the Bible are holy, but “The Song of Songs” is the holy of holies. All the commentators of the generation following Rabbi Akiba also interpret the text of “The Song of Songs” allegorically.

The Christian fathers were not far behind the Jewish commentators, for example, Origen with his sermons about “The Song of Songs”. According to both Jewish and Christian commentators, the central idea of this creation is man’s longing for God. The symbolism is as follows: God is a shepherd boy, – among the Jews the God of the Old Testament, among the Christians – Christ, – for whom the young shepherdess, – that is His flock, – among the Jews Israel, the Jewish nation, and among the Christians the church, – yearns.

“The Song of Songs” is an intertext of “The Knight in the Tiger’s Skin”, whose first commentator is the author himself. Rustaveli himself reveals what he hides in his words:

“SAGES cannot comprehend that one Love; the tongue will tire, the ears of the listeners will become wearied; I must tell of lower frenzies, which befall human beings; they imitate it when they wanton not, but faint from afar”.

By the way, the first Rustaveli scholar, Vakhtang VI, in his “Translation” emphasized the similarity in symbols between “The Song of Songs” and “The Knight in the Tiger’s Skin”.

Traditional biblical criticism recognizes four methods of interpreting the Holy Scriptures, and expresses them with a single word-abbreviation – “Pardes” (פרד"ס). The first letter of the acronym פ means טפש («simple meaning, logical explanation»), that is, the historical-existential plane of the text; the second letter ר means רמז («sign, hint»), that is, a typological reference, a pattern that contains a doctrinal-moral load; the third letter ד means וישדר («allegorical explanation, loading the text with a special meaning»); the fourth letter ס means סוד («secret»), that is, a hidden meaning, the regularities of events, the transcendental unity of cause and effect.

The aforementioned “Pardes” method of anagogic interpretation of the biblical text (in our case, “The Song of Songs”) is also relevant in relation to “The Knight in the Tiger’s Skin”: 1) The Georgian epic is subject to simple understanding, logical reading (“*pshat*” – historical-existential plane); 2) The poem has a doctrinal-moral charge (“*remez*” – instruction, admonition); 3) Its in-depth insight requires allegorical interpretation (“*derush*” – allegorical interpretation); 4) The poem may be considered as a creation with a clearly expressed esoteric, “divinely understandable” content (“*sod*” – secret, hidden side of the creation).

**„სხვის“/„უცხოს“ ხატი იბრაჰიმ ალ-ქუნის  
რომანში „ოქროს ქვიშა“**

**THE IMAGE OF THE OTHER/STRANGER  
IN IBRAHIM AL-KONI'S NOVEL "GOLD DUST"**

**დარეჯან გარდავაძე**

**Darejan Gardavadze**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** უცხოს ხატი, თანამედროვე არაბული  
რომანი, სამხრეთ-სამხრეთის გაუცხოება

**Keywords:** image of the other, contemporary Arabic novel,  
South-South estrangement

ანთროპოლოგიური კვლევები ადასტურებს, რომ ადგილისადმი მიჯაჭვულობა, ადგილისადმი მიკუთვნებულობის განცდა ძლიერ გავლენას ახდენს იქ მცხოვრებ ადამიანებში იდენტობის ფორმირების პროცესზე.

თანამედროვე ლიბიელ პროზაიკოსს, ნოველისტსა და რომანისტს, თანამედროვე არაბული რომანის ერთ-ერთი საუკეთესო ავტორს, იბრაჰიმ ალ-ქუნის საუკეთესოდ ახასიათებს საკუთარი სიტყვები: „მე აღარ ვცხოვრობ უდაბნოში, მაგრამ უდაბნო კვლავ ცხოვრობს ჩემში“. იბრაჰიმ ალ-ქუნის ცნობილი რომანის „ოქროს ქვიშის“ მაგალითზე, ეს სტატია ხაზს უსვამს იმ კონტრასტებსა და დაპირისპირებულ წყვილებს, რომლებზეც აგებულია ეს პატარა რომანი და რაც სწორედ საცხოვრის ადგილებთანაა კავშირში; კონტრასტებს, რომლებიც გამოკვეთს პოლარულ განსხვავებებს ჩრდილოეთ ლიბიის ჰამადას უდაბნოში მცხოვრებ ტუარეგებსა და სამხრეთში მცხოვრებ ტომებს შორის (აირი – ტიმბუქტუ, კანო).

„სხვის“/„უცხოს“ ხატი რომანში ნათლად ჩანს თემატური დაპირისპირებებისა და პერსონაჟების ურთიერთგამომრიცხავი თვისებების ხაზგასმაში. მთავარ პერსონაჟთა ოპოზიციური წყვილი თავისი თვისებებით ხაზს უსვამს სამხრეთ-სამხრეთის გაუცხოებას და რომანის მთავარ ანტითეზას, ესენია: სულიერი ღირებულებები – ამქვეყნიური ღირებულებები და წარმოაჩენს მათ შორის კონცეპტუალურ განსხვავებას.

Anthropological research has proven that attachment to a place, a sense of belonging to a place, has a strong influence on the process of identity formation among the people living there.

Contemporary Libyan prosaist, short story writer and novelist, one of the best authors of modern Arabic novel, Ibrahim al-Koni is best described by his own words: "I don't live anymore in the desert but the desert still lives in me".

On the example of "Gold Dust", Ibrahim al-Koni's famous novel, this article emphasizes the contrasts, opposing pairs on which this small novel is built; the contrasts that highlight the polar differences between the Tuaregs living in the Hamada Desert in Northern Libya and the tribes living in the South (Air – Timbuktu, Kano).

The image of a stranger is clearly seen in thematic collisions and in emphasizing the conflicting qualities of the characters.

These opposing pairs, with their qualities, underline South-South estrangement and the main antithesis of the novel, they are: spiritual values – worldly values, and emphasize the conceptual difference between them.



ტირე, როგორც პოეტურ ინსტრუმენტი,  
კარლო კაჭარავას შემოქმედებაში

THE DASH AS A POETIC TOOL IN THE WORKS  
OF KARLO KACHARAVA

ნანა გაფრინდაშვილი

Nana Gaprindashvili

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: ტირე, პოეტური ინსტრუმენტი,  
კარლო კაჭარავა

Keywords: the dash, poetic tool, Karlo Kacharava

ტირე კარლო კაჭარავას შემოქმედებაში მრავალფუნქციური ფენომენია. მისი პოეზია მკითხველის ყურადღებას იპყრობს ტირეების სიმრავლითა და მათი გამოყენების დადგენილი წესების იგნორირებით. კარლო კაჭარავა ტირეს მნიშვნელოვან პოეტურ ინსტრუმენტად აქცევს და იყენებს სამყაროს ორიგინალური მხატვრული სურათის შესაქმნელად და თავისი სათქმელის მკითხველამდე მისატანად.

ტირე კარლო კაჭარავას პოეტური სტილის მნიშვნელოვანი თავისებურებაა, რომელსაც ხშირად იყენებს ემოციური მახვილების გამოსაკვეთად და მუსიკალური ეფექტის წარმოსაჩენად:

„იქ - ყვირილი - როგორც კოშკიდან  
მოხუცი ფრენა - თმები - მუხლები  
პერანგის ნაწილი - შესახებად  
თეთრი -  
ზურგშექცევით -  
  
მერეც და როგორც ფრენა  
როგორც განმეორება  
როგორც ისლამი.

ავტორი რიტმულ-ინტონაციურ დატვირთვასაც აძლევს ტირეს, მისი მეშვეობით ვირტუოზულად ამძაფრებს ემოციას და აღმავალი გრადაციის ეფექტს ქმნის:

„ჩვენში -  
ვიღაცას დრო აქვს და უყურებს ჟან-ლუკ გოდარის  
ფილმებს კინოს სახლში.  
ჩვენში -  
ვიღაცას ფული აქვს და ყიდულობს ჟან-ლუკ გოდარის  
ფილმების რეტროსპექტივის  
ფრანგულ კატალოგს.  
ჩვენში -  
ვიღაც ისე უპრობლემოა, რომ ეცოდება ქუჩის ძაღლები.  
ჩვენში - ვიღაცას იმდენი ფული აქვს,  
რომ არაყს სვამს ქუჩაში.



ჩვენში - ყველა ესენი იმდენად გულუბრყვილონი არიან,  
რომ ჰგონიათ უკვე

ალარ ცხოვრობენ ამ ქალაქში.

ჩვენში - ყველამ ყველაფერი იცის“.

ავტორს ტირე ზოგჯერ დამატებითი აზრობრივი შრეების ხაზ-გასასმელად აქვს გამოყენებული. იგი, ერთი შეხედვით, თითქოს ეხმარება მკითხველს სათქმელის უკეთ გაგება-გააზრებაში, მაგრამ ზოგჯერ საკმაოდ რთული ინტელექტუალური ამოცანის წინაშეც აყენებს მას:

„სწუხს - უჩვეულოდ ხანგრძლივია დღე - დრო არ კვდება.

„ტოკაის“ ბოთლი ავტოპარკში, მზეზე.

ისევ ვხერხავ - ნერვები აღარ მაქვს.

შესახებ - სახე - შესახები - სახელი - შესახებზე.

შეხებით. // ზესახეხატი.// შე - სახე - დი.

შედი - სახე. შესახეში. შე - სახე - დის“.

ზოგჯერ ტირე ლაკონიურობას უნარჩუნებს პოეტურ ტექსტს, გარკვეულ სიმსუბუქესა და ჰაეროვნებას ანიჭებს მას:

„წვიმა ჰგავდა ლარნაკს

არაბი ხომ ჰყიდდა -

სასაცილო ხაფანგს -

ბრმა ღიმილის სხივთა“.

ამრიგად, ტირე კარლო კაჭარავას პოეტური ტექსტის ფორმირების თვალსაზრისით უაღრესად საინტერესო ინსტრუმენტია. მას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ლირიკული ტექსტის ესთეტიკურ ორგანიზებაში და ემსახურება არა მარტო პოეზიის საზღვრებისა და კონკრეტული ლექსის აზრობრივი სივრცის გაფართოებას, არამედ ლექსის რიტმულ-ინტონაციურ ორგანიზებასაც.

The dash is a multifunctional phenomenon in the works of Karlo Kacharava. His poetry attracts the reader's attention with the abundance of dashes and the disregard for the established rules for their use. Karlo

Kacharava turns the dash into an important poetic tool and uses it to create an original artistic picture of the world and to convey his message to the reader.

The dash is an important feature of Karlo Kacharava's poetic style, which he often uses to highlight emotional nuances and to create a musical effect:

„იქ – ყვირილი – როგორც კოშკიდან  
მოხუცი ფრენა – თმები – მუხლები  
პერანგის ნაწილი – შესახებად  
თეთრი –  
ზურგშექცევით –  
მერეც  
და როგორც ფრენა  
როგორც განმეორება  
როგორც ისლამი.“

“There – screaming – like an elderly  
flying from a tower – hair – knees  
part of a shirt – white  
to touch –  
with your back turned –  
and again  
and like flying  
like repetition  
like Islam”.

The author also gives the dash rhythmic and intonation meanings, through which he masterly intensifies emotion and creates the effect of ascending gradation:

„ჩვენში –  
ვიღაცას დრო აქვს და უყურებს ჟან-ლუკ გოდარის  
ფილმებს კინოს სახლში.  
ჩვენში –

ვილაცას ფული აქვს და ყიდულობს ჟან-ლუკ გოდარის  
ფილმების რეტროსპექტივის  
ფრანგულ კატალოგს.  
ჩვენში –

“Among us –  
someone has time and watches films of Jean-Luc Godard  
in the Cinema House.

Among us –  
someone has money and buys the French catalogue of Jean-Luc  
Godard’s film retrospective.

Among us –

ვილაც ისე უპრობლემოა, რომ ეცოდება ქუჩის ძაღლები.  
ჩვენში – ვილაცას იმდენი ფული აქვს,  
რომ არაყს სვამს ქუჩაში.

ჩვენში – ყველა ესენი იმდენად გულუბრყვილონი არიან,  
რომ ჰგონიათ

უკვე

აღარ ცხოვრობენ ამ ქალაქში.

ჩვენში – ყველამ ყველაფერი იცის”.

“Someone is so unproblematic that they feel sorry for stray dogs.

Among us – someone has so much money  
that they drink vodka on the street.

Among us – all of them are so naive that they think  
they don’t live in this city anymore.

Among us – everyone knows everything”.

The author sometimes uses a dash to emphasize additional layers of meaning. At first glance, it seems to help the reader better understand what is being said, but sometimes it also poses a rather difficult intellectual task for the reader:

„სწუხს – უჩვეულოდ ხანგრძლივია დღე – დრო არ კვდება.  
„ტოკაის“ ბოთლი ავტოპარკში, მზებზე.

ისევ ვხერხავ – ნერვები აღარ მაქვს.  
შესახებ – სახე – შესახები – სახელი – შესახებზე.  
შეხებით. // ზესახეხატი.// შე – სახე – დი.  
შედი – სახე. შესახეში. შე – სახე – დის“.

“Someone’s grieving – the day is unusually long – time doesn’t die.  
A bottle of “Tokay” in the parking lot, in the sun.  
I’m sawing again – I have no more nerves [...]”

Sometimes a dash maintains the laconic nature of a poetic text, giving it a certain lightness and ethereality:

„წვიმა ჰგავდა ლარნაკს  
არაბი ხომ ჰყიდდა –  
სასაცილო ხაფანგს –  
ბრმა ღიმილის სხივთა“.

“The rain was like a vase  
The Arab was selling –  
A silly trap –  
With the rays of a blind smile”.

Thus, the dash is an extremely interesting tool in terms of the formation of Karlo Kacharava’s poetic text. It occupies an important place in the aesthetic organization of the lyrical text and serves not only to expand the boundaries of poetry and the conceptual space of a particular poem, but also serves the rhythmic-intonational organization of the poem.

თამაზ ჩხენკელის თარგმანების კრებული  
„მარიოტა“

**MARIOTA: A VOLUME OF TRANSLATIONS BY TAMAZ  
CHKHENKELI**

მანანა გელაშვილი

**Manana Gelashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ჩხენკელი, „მარიოტა“, თარგმანი  
**Keywords:** Chkhenkeli, *Mariota*, translation

ლექსების კრებული „მარიოტა“, რომელიც თამაზ ჩხენკელის საუკეთესო თარგმანების კრებულს წარმოადგენს მრავალმხრივ არის საინტერესო. მასში თავმოყრილია მთარგმნელის მიერ სხვადასხვა დროს თარგმნილი ერთმანეთისაგან დროითა და ლიტერატურული ტრადიციით ძალიან განსხვავებული ავტორები: უიტმენი, თავორი, ლორკა, ჰორაციუსი, კატულუსი, რილკე, რუმი. უბრალო ჩამონათვალის კი გარკვეულ წარმოდგენას გვიქმნის იმ სტილურ და მხატვრულ თავისებურებათა დიაპაზონზე, რომლის დაძლევაც მოუწევდა მთარგმნელს. აღსანიშნავია სალექსო ფორმის მრავალფეროვნება: სონეტი, რობაი, თეთრი ლექსი, ვერლიბრი, ხოკუ, ტანკა.

სტატიის მიზანმიმართული ყურადღება ექცევა უიტმენისა და თავორის თარგმანებს, რადგან მათ თავად მთარგმნელიც გამოარჩევდა, როგორც იმ ავტორებს, რომლებმაც დიდი როლი შეასრულეს მის სულიერ ზრდაში. უიტმენის თარგმნას ქართულ ენაზე კონსტანტინე განსახურდიამ ჩაუყარა საფუძველი. მანვე პირველმა გამოიყენა თავისუფალი ლექსი, რომელსაც მის შემდეგ ყველა მთარგმნელმა მიმართა. ჩხენკელის მიერ თარგმნილი უიტმენი დედნისადმი ერთგულებით ხასიათდება.

უიტმენისაგან განსხვავებით თავორის შემოქმედებას ჩხენკელის თარგმანამდე ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობდა, რადგან „გიტანჯალიდან“ სულ რამდენიმე ფრაგმენტი იყო თარგმნილი (მხედველობაში მაქვს ლეო ქიაჩელის პროზაული თარგმანი და სანდრო შანშიაშვილის მიერ თარგმნილი რამდენიმე ლექსი). თამაზ ჩხენკელი დაახლოებით ათი წლის მანძილზე თარგმნიდა ამ ნაწარმოებს. თავორის თარგმნა, ერთი მხრივ, ინდური რელიგიურ-ფილოსოფიური ტრადიციის ცოდნას მოითხოვს და, მეორე მხრივ, – პოეტური ხატოვანებისა და მომხიბვლელობის შენარჩუნებას. პირველი ამათგან განსწავლას მოითხოვს, მეორე – პოეტური ნიჭის ძალმოსილებას. მხოლოდ ამ ორივე უნარის შენივთებით გახდა შესაძლებელი „გიტანჯალის“ ისეთი თარგმანის შექმნა, როგორც თამაზ ჩხენკელისაა. აღსანიშნავია, თარგმანის ფორმის

გადმოტანის სირთულე. „გიტანჯალი“ საგალობლების კრებულია, ამიტომ მთარგმნელმა სწორად გადაწყვიტა, რომ საუკეთესო არჩევანი ქართული ჰიმნოგრაფიის წყობა იქნებოდა, რომელსაც პავლე ინგოროყვა „საგალობელთა მარცვლედს“ უწოდებდა. ამასთანვე, მთარგმნელი არქაულ სტილიზაციასაც მიმართავს: „განიხვნენ ცათა საქანელნი“, „ჩემდა მოიქეც, ჰოი, წმინდაო“, „მშვიდობითა და მოვანებით, მოველ, უფალო“.

საფიქრებელია, რომ თავორით გატაცებას მოჰყვა ზოგადად ინდური პოეზიით დაინტერესება, რასაც 1973 წელს დასტამბული კრებული მოჰყვა, ძველი ინდური საგალობლებისა, რომელიც სრული სახით შევიდა „მარიოტაში“. ეს თარგმანები სრულიად ახალ სამყაროს აცნობს ქართველ მკითხველს, აცნობს იმ ტრადიციას, საიდანაც თავორის პოეზია ამოიზარდა.

თამაზ ჩხენკელს მიაჩნდა, რომ „მთავარი ტექსტის სწორი ტონალობის დაჭერაა. ამ ტონალობის ფონზე ესა თუ ის სიტყვა შთაბეჭდილებათა სხვადასხვა სტრუქტურაში ერთიანდება და მთარგმნელისათვის სასურველ ელფერს იძენს“. სწორედ ამგვარი სწორად დაჭერილი ტონალობის წყალობით ახერხებს თამაზ ჩხენკელი ასე შთამბეჭდავად და მძაფრი ექსპრესიით გამოხატოს ერთმანეთისაგან ძალიან განსხვავებული პოეტური სამყაროები: ადამ მიცკევიჩის რომანტიკული განცდა, ბო ძიუ-ის სინატიფე, მარიანა მურის ირონიული ინტელექტუალიზმი და ლორკას „დუენდე“. მიუხედავად იმისა, რომ ლორკას მხოლოდ სამი ლექსის თარგმანია კრებულში, თარგმანმა ზუსტად გადმოსცა „წარმოსახვა, აღმაფრენა, თავისუფლება“ და „განუცდელი სიახლის განცდა“ – ანუ ის, რაც ლორკას პოეზიის ქვაკუთხედად მიაჩნდა.

ლორკას სხვა, ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი, პოეტები მოჰყვებიან: ლეონ ფელიპე, ხესუს ლოპეს პაჩეკო, ანხელ გონსალესი. ამ კრებულის ერთ-ერთი ღირსება ესეცაა – უცნობი, ან ნაკლებად ცნობილი პოეტების გაცნობა ქართველი მკითხველისათვის.

რაც შეეხება ომარ ხაიამის რობაიებს, მას ქართულ ენაზე თარგმნის დიდი ტრადიცია აქვს: იუსტინე აბულაძე, ამბაკო ქელიძე, ვახტანგ კოტეტიშვილი, მაგალი თოდუა, თამაზ ჩხენკელი.

მთლიანობაში ეს კრებული თავისი გასაცვიფრებელი მრავალფეროვნებით მთარგმნელის დიდ დიაპაზონზე მეტყველებს და, ამასთანავე, თამაზ ჩხენკელის სწრაფვასაც გამოხატავს, რაც მის ლიტერატურულ წერილებშიც ჩანს, რომ ერთმანეთისაგან დროსა და სივრცეში დაშორებული ლიტერატურული მოვლენები მთლიანობაში გაიაზროს, როგორც ერთიანი მსოფლიო ლიტერატურა.

The book “Mariota,” featuring the finest translations of Tamaz Chkhenkeli, is intriguing in many ways. The collection comprises works by various authors that the author translated over time and across different literary traditions, including Whitman, Tagore, Lorca, Horace, Catullus, Rilke, and Rumi. Just a simple list of these authors illustrates the wide range of stylistic and artistic challenges the translator faced. Notably, the diversity of the verse forms is impressive, encompassing sonnets, rubaiyat, free verse, verse libre, khoku, and tanka.

The article focuses specifically on the translations of Walt Whitman and Rabindranath Tagore, as the translator himself identified these authors as significant influences on his spiritual growth. Konstantine Gansakhurdia pioneered the translation of Whitman’s works into Georgian and was the first to employ free verse, a style that all subsequent translators adopted. The translation of Whitman by Chkhenkeli is noted for its fidelity to the original text.

Unlike Whitman, Tagore’s work was less known to Georgian readers before Chkhenkeli’s translation, as only a few fragments of “Gitanjali” had been translated. These included Leo Kiacheli’s prose translation and several poems translated by Sandro Shanshiashvili. Tamaz Chkhenkeli dedicated about ten years to translating this work. Translating Tagore involves a deep understanding of the Indian religious and philosophical tradition, as well as the ability to preserve the poetic imagery and charm of the original work. The first requirement necessitates thorough study,



while the second hinges on the translator's poetic talent. This combination of skills allowed Tamaz Chkhenkeli to create a remarkable translation of "Gitanjali." It is important to note the subtlety employed in the translation. "Gitanjali" is a collection of hymns, so the translator wisely chose to arrange it in a manner that reflects Georgian hymnography, which Pavle Ingorokva referred to as "the grain of hymns." Additionally, the translator employs archaic stylization with the phrases like "The swings of the sky have been shaken," "Turn to me, O holy one," and "With joy and movement, move, O Lord."

It is likely that the fascination with Tagore sparked a broader interest in Indian poetry, which subsequently led to the publication of a collection of old Indian hymns in 1973. This collection was included in its entirety in "Mariota." These translations introduce Georgian readers to an entirely new world, rooted in the tradition from which Tagore's poetry emerged.

Tamaz Chkhenkeli believed that "the main thing is to capture the right tone of the text. Against this tonal backdrop, various words come together in different structures, acquiring the desired nuances for the translator." It is precisely through this well-captured tone that Chkhenkeli impressively conveys a range of poetic worlds, expressing the romantic sentiment of Adam Mickiewicz, the tenderness of Bo Zhou, the ironic intellectualism of Marianne Moore, and Lorca's concept of "Duende."

This collection features only three translations of Lorca's poems, yet it effectively captures elements such as "imagination, flight, freedom," and "the feeling of untried novelty" – all of which Lorca considered essential to poetry. Following Lorca, the collection introduces other poets who may be less familiar to readers, including Leon Felipe, Jesús López Pacheco, and Ángel González. One notable merit of this collection is its ability to introduce these lesser-known poets to the Georgian audience.

Omar Khayyam's Rubaiyat have a rich tradition of translations into Georgian, thanks to several translators, including Justine Abuladze, Ambako Chelidze, Vakhtang Kotetishvili, Magali Todua, and Tamaz Chkhen-

keli. This collection showcases a remarkable diversity, reflecting the translators' wide-ranging skills.

Overall, this collection, with its stunning diversity, speaks of the translator's great range; and, at the same time, expresses Tamaz Chkhenteli's aspiration, which is also evident in his literary writings, to see literary events separated in time and space grow together as a unified world literature.

**შუმერულ-აკადური მითოსის აზრი-  
გენერატორი – „ნეტარი ადგილი“ სამყაროში**  
**SUMERIAN-AKKADIAN MYTH-GENERATOR – “BLESSED  
PLACE” IN THE UNIVERSE**

**ელიზბარ ელიზბარაშვილი**

**Elizbar Elizbarashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** შუმერულ-აკადური მითოსი, „ნეტარი  
ადგილი“

**Keywords:** Sumerian-Akkadian, “blessed place”

მითოლოგიური მატრიცის მიხედვით, სამყაროში არსებობდა „ნეტარი ადგილი“; დროისა და სივრცის უკიდურეს მიჯნასთან არსებობდა უმაღლესი ცივილიზაცია; ადამიანური ცივილიზაციის არსებობას წინ უსწრებს პარაცივილიზაციის არსებობა. შუმერულ მითოლოგიაში აღწერილია „ოქროს ხანა“, რომელიც ცივილიზაციის დასაწყისს მიეკუთვნება. შუმერული მითოლოგია საუბრობს პირველქმნილ მინაზე, სადაც ოდესღაც, კაცობრიობამდე, ცხოვრობდა ენქი და ალასრულებდა თავის დემიურგულ ღვანლს. ეს მინა იყო დილმუნი – წალკოტი შორეულ აღმოსავლეთში. „დილმუნში ჯერ კიდევ არ არსებობდა ყველა ის უბედურება და უსამართლობა, რაც კაცობრიობამ შემოიტანა სამყაროში.“ იქ იყო ნეტარი და უზრუნველი ყოფა. დილმუნის მინა იყო უბიწო და ბრწყინვალე. ეს „ხანა“ და ეს „ადგილი“ ეპოსში შემდეგი სტრუქტურული ელემენტებისგან შედგება: 1. „ნეტარი ადგილი“ იმყოფება უკიდურეს დასავლეთში, ზღვაში ძნელადმისაწვდომ კუნძულებზე. გილგამეში უკიდურეს დასავლეთით, დედამიწის კიდეში „მოგზაურობს“. „ნეტარი ხანა“ კი „იმყოფება“ უკიდურეს წარსულში. 2. ამ ადგილას არის წალკოტი – უხვი და მრავალფეროვანი ფლორა და ფაუნა. 3. ამ ადგილს უკავშირდება უმაღლესი მაშუს მთა. გილგამეშმა იხილა ეს მთა, „რომლის მწვერვალები ცის თაღს ებჯინება და ქვემოთ ქვესკნელს ებჯინება მკერდი“. (იქვე, გვ. 65). ეს არის ცას, დედამიწასა და ქვესკნელს (კოსმოსის სხვადასხვა სფეროს) შორის კავშირი. ზურაბ კიკნაძე წიგნში – „შუამდინარული მითოლოგია“ – მაშუს მთაზე წერს: „კოსმოსის სტრუქტურის გავრცელებული მითოლოგიემა, რომლის ამოსავალია დურ-ან-ქი – „ცისა და მიწის“ კავშირი ან დიმ-გალ „დიდი ღერძი“ – სამყაროს შუაგულში გამავალი და სამი სკნელის შემაერთებელი“. 4. ამ ადგილას არის ზეადამიანური უნარები და ფენომენები. გილგამეში კუნძულებზე „მოგზაურობისას“ იხილავს მეღვინე სიდურს, რომელიც ღმერთებისთვის ამზადებს ნექტარს – „მეღვინე სიდური, ზღვის გულში მცხოვრები, ზის და განაზავებს ღმერთებისთვის ნექტარს“. გილგამეში იხილავს ზეუნარების მქონე მეზღვაურს – ურ-შანაბს, რომელსაც ძალუძს „სიკვდილის წყლების“ გადალახვა და მოძრაობა წარმოუდგენელი სიჩქარით.

იხილავს უკვდავ ადამიანებს და უკვდავების ელექსირს. უთნაფიშთი დასასრულს გილგამეშს ეუბნება – „განგიცხადებ გილგამეშ, იდუმალ სიტყვას, და საიდუმლოს ბალახისას გეტყვი: ზღვის ფსკერზე იზრდება ეკლიანი ბალახი, ვით ვარდის ეკალი ხელს გაგიკანრავს. და თუ ხელთ იგდე ბალახი იგი, სიცოცხლის განახლებას შესძლებ“<sup>5</sup>. ამ ადგილას არის „სიკვდილის წყლები“. კუნძულებთან, მის მისადგომებთან ახლოს არის გაუვალი ადგილი. 6. ამ ადგილას არის დროისა და სივრცის ანომალიები. გილგამეში უთნაფიშთისთან სტუმრობის დროს ფიქრობდა, რომ ოდნავ წაუთვლიმა, მაგრამ კუნძულზე შვიდი დღე გავიდა. ასევე სივრცის ანომალიაზე შესაძლოა მიუთითებდეს ის ფაქტი, რომ ურ-შანაბმა და გილგამეშმა „სამ დღეში განვლეს თვე-ნახევრის სავალი“. უკანა გზითაც გილგამეში ისე დაბრუნდა სახლში, რომ აღარ გაუვლია „სიკვდილის წყლები“, მეღვინე სიდური, მაშუს მთა და ის ადგილები, რაც იქ მისვლამდე გაიარა. 7. ამ ადგილას არის ადამიანთა სრულყოფილი ცხოვრება. უთნაფიშთი და მისი ცოლი უკვდავები არიან. ისინი ნეტარებენ და სრულ სიმშვიდეში იმყოფებიან, არ სჭირდებათ შრომა და ძალისხმევა. მათი ცხოვრება სრულყოფილების გამო არის უდარდელი და უზრუნველი.

According to the mythological matrix, there was a “blessed place” in the world; at the extreme limit of time and space there existed a superior civilization; the existence of human civilization is preceded by the existence of a paracivilization. Sumerian mythology describes a “Golden Age” dating back to the beginning of civilization. Sumerian mythology speaks of a primordial land, where once, before the advent of mankind, Enki lived and performed his demiurges. This land was Dilmun – Garden in the Far East. “Dilmun did not yet have all the suffering and injustice that humanity has brought to the world.” It was a blissful and carefree existence. The land of Dilmun was pure and glorious. This “age” and this “place” in the epic consist of the following structural elements: 1. The “blessed place” is located in the far west, on the

hard-to-reach islands in the sea. Gilgamesh “travels” to the extreme west, to the edge of the earth. The “Blessed Age” is “present” in the extreme past. 2. This place has a garden – abundant and diverse flora and fauna. 3. The highest mountain, Mashu, is associated with this place; Gilgamesh saw this mountain, as “the tops of which touch the vault of the sky, and below the underworld touches the chest” (ibid., p. 65). This is the connection between heaven, earth, and the underworld (different spheres of space). Zurab Kiknadze in the book “Mediterranean Mythology” writes about Mount Mashu: “It is a common mythologem of the structure of the cosmos, the source of which is Dur-an-ki – the connection of “heaven and earth” or Dim-gal “great axis” – passing through the middle of the Universe and a connector of three stars”. 4. In this place, there are superhuman abilities and phenomena. While Gilgamesh “travels” to the islands, he sees the winemaker Siddur, who prepares nectar for the gods – “The winemaker Siddur, who lives in the heart of the sea, Sits and dilutes nectar for the gods”. Gilgamesh sees a sailor with superpowers – Ur-Shanab, who can cross the “waters of death” and move at incredible speeds. He sees immortal people and the elixir of immortality. In the end, Utnafisti says to Gilgamesh: “I will reveal to you, Gilgamesh, a mysterious word, And revealing the secret, I will tell you: Prickly grass grows at the bottom of the sea, Like a rose thorn scratching your hand. And if you put the grass in your hand, You can renew your life”. 5. In this place are the “waters of death”. There is an impassable place near the islands and their approaches. 6. There are temporal and spatial anomalies in this place. During Gilgamesh’s visit to Utnafisti, he thought he was he was sleeping a bit, but seven days passed on the island. An anomaly in space may also be indicated by the fact that Ur-Shanab and Gilgamesh “traveled for a month and a half in three days”. Gilgamesh also returned home without passing through the “waters of death”, the winemaker Sidur, Mount Mashu and the places he passed through before getting there. 7. This place has an ideal human life. Utnafisti and his wife are immortal. They are blissful and in complete peace, they do not need work and effort. Their lives are carefree due to perfection.

**რომანი „უხმო ქვითინი – ქართველთა  
გადასახლება“**

**THE NOVEL “THE SILENT CRY – THE EXILE  
OF GEORGIANS”**

**ქეთევან ლორთქიფანიძე, ნანა კაჭარავა**  
**Ketevan Lortkipanidze, Nana Katcharava**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** თურქულად თარგმნილი რომანი  
**Keywords:** a novel translated into Turkish

„უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება“ მუჰაჯირ ქართველთა შთამომავლის, ილჰან აკინის რომანია. მწერლის წინაპართა ქართული გვარია ბერიძე. ეთნიკურად ქართველი მწერალი ილჰან აკინი დაიბადა თურქეთის დუზჯეს პროვინციის სოფელ მუნჯურლუში. იგი 30-ამდე რომანის ავტორია და საკმაოდ პოპულარულია თავის რეგიონში, დაჯილდოებულია სხვადასხვა ლიტერატურული პრემიით, ხოლო თურქეთის სამეცნიერო ნაშრომებისა და მხატვრული ნაწარმოებების პატრონაჟის კავშირის მიერ დასახელებულია „2012 წლის საუკეთესო რომანისტად“. მისი ნაწარმოებები თარგმნილია ინგლისურ, არაბულ, ქართულ და ჰინდის ენებზე.

ქართველ მკითხველს საშუალება მიეცა, მშობლიურ ენაზე წაიკითხოს „უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება“, რომელიც თურქულიდან თარგმნა ნანა კაჭარავამ. წიგნი ქართველ მუჰაჯირთა მიგრაციის მძიმე წლებზე მოგვითხრობს. მწერლის რომანებიდან ჩვენთვის საინტერესოა „წმინდა ბარბარე & ნიკომედია“, რომელიც ქართველებისათვის საყვარელი წმინდანის, ბარბარეს ცხოვრებასა და მის მოწამეობრივ აღსასრულს აგვიწერს. ასევე განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რომანი „ოქროს საწმისი“, რომელშიც ავტორს ორიგინალური და განსხვავებული ხედვა აქვს არგონავტების კოლხეთში ჩამოსვლისა და ოქროს საწმისის გატაცების შესახებ. მთარგმნელს ჩაფიქრებული აქვს ორივე მათგანის თარგმნა და ამგვარად ილჰან აკინის ტრილოგიის მიწოდება ქართველი მკითხველისათვის.

რომანი „უხმო ქვითინი - ქართველთა გადასახლება“ პირველად დაიბეჭდა 2014 წელს თურქეთში „დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაციის“ ფინანსური მხარდაჭერით. წიგნი დიდი ინტერესით მიიღო ადგილობრივმა ქართულმა დიასპორამ. მისასალმებელია, რომ იგი სწრაფად გაიყიდა და 2015 წელს გამომცემლობა „მეტამორფოზამ“ უკვე ხელმეორედ გამოაქვეყნა. რომანის ქართული თარგმანი დაიბეჭდა საქართველოს აკადემიური გამომცემლობა „საგას“ მიერ TEDA-ს ფინანსური მხარდაჭერით. თურქეთის კულტურის სამინისტროსთან არსებული ეს



საზოგადოება აფინანსებს თურქული ლიტერატურის ნიმუშებს, თარგმნის მსოფლიოს სხვადასხვა ენაზე.

ქართველი მკითხველი განებივრებული არ არის მუჰაჯირობის, დედასამშობლოს ფესვებს მოწყვეტილი ემიგრანტების თემაზე დანერგილი მხატვრული ნაწარმოებებით. მწერალმა ისტორიის მწარე ფურცლებს – ქართველთა მუჰაჯირობას რომანის სახე მისცა და ამ წიგნში აჭარიდან გადასახლებული ერთი ოჯახის ფონზე განზოგადებულად აღწერა მე-19 საუკუნის ბოლოს ოსმალეთში გადასახლებული ქართველების სულიერი და ფიზიკური მდგომარეობა და ის ხვედრი, რომელიც ისტორიამ მათ არგუნა. ორიგინალში უამრავი სიტყვა მოცემულია ქართულად და ფრჩხილებში მათ თურქული განმარტებები ახლავს. ეს ის სიტყვებია, ხეხილის, ყურძნის თუ სიმინდის ჯიშებია, რომლებიც ავტორს ბავშვობიდან მახსოვრობაში ჩარჩენია, რომელთაც უფრო თხილდება და ესათუება. მწერალი ვერ მეტყველებს ქართულად, მაგრამ კარგად ესმის ეს ენა და დიდი სურვილი აქვს, გახდეს საქართველოს მოქალაქე.

“The Silent Cry – The Exile of Georgians” is a novel by Ilhan Akin, a descendant of Muhajir Georgians. The writer’s ancestors have a Georgian surname, Beridze. He is the author of about 30 novels and is quite popular in his region. He has been awarded various literary prizes, and was named “Best Novelist of 2012”. His works have been translated into English, Arabic, Georgian and Hindi.

This novel was translated from Turkish by Nana Katcharava. The book tells us about the difficult years of migration of the Georgian Muhajirs. Of the writer’s novels, “Saint Barbara & Nicomedia” and “The Golden Fleece” are particularly interesting to us. The translator is planning to translate both of them and thus provide the Ilhan Akin trilogy to Georgian readers.

The novel was first published in Turkey in 2014 with the financial support of the “Duzje Georgian Culture Association”. The book was received with great interest by the local Georgian diaspora. The Georgian

translation of the novel was published by the Georgian academic publishing house "Saga" with the financial support of TEDA.

The Georgian reader is not spoiled by works of fiction written on the subject of emigrants uprooted from their homeland. The writer gave the bitter pages of history – the emigration of Georgians – the form of a novel and in this book, against the background of one family exiled from Adjara, he generalized the spiritual and physical condition of Georgians exiled to the Ottoman Empire at the end of the 19th century and the fate that history dealt them. In the original, many words are given in Georgian and are accompanied by Turkish definitions in parentheses. These are words, varieties of fruit, grapes or corn, which the author has remembered since childhood, which he is careful about and refers to. The writer cannot speak Georgian, but he understands this language well and has a great desire to become a citizen of Georgia.

ნოტაციის ტექნიკის განვითარების საკითხი  
გერმანული ენის მაგალითზე

THE DEVELOPMENT OF THE TECHNIQUE OF NOTE-  
TAKING ON THE EXAMPLE OF THE GERMAN LANGUAGE

სოფიო მუჯირი

Sophie Mujiri

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** „ნოტაციის ელემენტების“ განლაგება  
და სია, ჩანერის ალტერნატიული ტექნიკა გერმანული  
ენისათვის

**Keywords:** the layout and list of the “elements of notes”, alternative  
technique of note-taking for the German language

ნაშრომში განხილულია თანმიმდევრული თარგმნის პროცესში მთარგმნელის მიერ გამოყენებული ჩანაწერები. ჩანაწერები წარმოადგენენ მოცემული ინფორმაციული შინაარსის მნემოტექნიკურ გრაფიკულ ესკიზებს (ინფორმაციულ ჩონჩხს), რომლებიც თარჯიმანისათვის ასრულებენ „მეხსიერების საყრდენის“ ფუნქციას მიზან-ტექსტის რეპროდუცირების პროცესში.

ნაშრომში ხაზგასმულია, რომ თარჯიმანმა მოსმენილი ტექსტის სელექციური გაგების საფუძველზე შემოკლებული ფორმით უნდა ჩაინიშნოს მიზან-ტექსტის ძირითადი აზრი, საკვანძო სიტყვები, მათ შორის არსებული სემანტიკური და სინტაქსური კავშირები, ჩამონათვალები, ციფრები, სახელები, აქცენტები და სხვ. აღნიშნულია, რომ ჩანიშვნას არ საჭიროებს: კონტექსტიდან ან საკომუნიკაციო სიტუაციიდან გამომდინარე ინფორმაცია, რიტორიკული ფრაზები, შინაარსობრივი და ენობრივი გამეორებები, სტილისტური ეფექტები, აზრობრივად უმნიშვნელო ზედსართავები და ა. შ., ანუ ის ინფორმაცია, რომელიც თარჯიმანს „მეხსიერების საყრდენის“ გარეშეც ახსოვს.

ნაშრომში გაანალიზებულია, თუ რა სახის უნდა იყოს თარჯიმნის ჩანაწერები (გასაგები, სარწმუნო, სწრაფად გასარჩევი, გამომსვლელის სიტყვასა და სიტუაციაზე მორგებული და სხვ.), ასევე, ჩანაწერების ანუ „ნოტაციის ელემენტების“ განლაგების საკითხი. დადგენილია, რომ ჩანაწერში ინფორმაცია უნდა განლაგდეს ვერტიკალურად, რომელიც კომბინაციაშია ე. წ. ჰორიზონტალურ „შენვებთან“, ანუ „საფეხურებთან“, სადაც წინადადების მნიშვნელოვანი წევრები იკავებენ ადგილს. გრადაციის საფეხურებზე შესაძლოა დავტოვოთ ადგილი ნოტაციის სხვა ელემენტებისათვის (გამონათქვამთა შორის კავშირებისათვის, ტექსტის დამაზუსტებელი სიმბოლოებისათვის ან აქცენტირებისათვის).

გრამატიკული კატეგორიების, მახვილების და სხვ. ჩაწერა ხდება „ნიშნების“ გამოყენებით, რომლის დროსაც აუცილებელია გრამატიკული რიცხვის, დროის ფორმის, ზმნის კილოს, არს. სა-

ხელთა ბრუნვის, უარყოფითი ფორმებისა და მახვილების ჩანიშვნა შემოკლებების მეშვეობით.

ნაშრომის ბოლოს დასახულია ნოტაციის პრობლემების გადაჭრის გზები, გერმანული ენისათვის შემუშავებულია ჩანერის ალტერნატიული ტექნიკა და წარმოდგენილია შემოკლებების, ნიშნების, სიმბოლოების სია, რომელთა გამოყენება მეტად პროდუქტიულად გვესახება თარჯიმანთა პრაქტიკაში.

The paper analyzes the notes made by interpreters in the process of subsequent translation. The notes are mnemotechnic graphic sketches of informative nature (informative skeleton), performing the function of the “axis of memory” for the translator in the process of reproducing the target text.

The paper underlines that, based on the selective perception of the heard text, the translator makes short notes of the essence of the target text, keywords, semantic and syntactic connections, lists, figures, names, focus, etc. The paper states that notes are not required for: the information derived from the context or the communicative situation, rhetorical phrases, semantic and linguistic repetitions, stylistic devices, meaningless adjectives and so on, i. e., the information remembered by the interpreter without “the axis of memory”.

The paper analyzes the key features of the interpreter’s notes (clear, reliable, easy to distinguish, adjusted to the speaker’s text and the situation, etc.). The author also focuses on the layout of the “elements of notes”. It has been identified that, in the notes, information should be placed vertically, in combination with the so-called horizontal “indents” i. e., “steps” occupied by the important members of the sentence. On the gradation steps, one can leave space for other elements of notes (conjunctions between the phrases, symbols clarifying the text or focus).

Grammatical categories, stress, etc. are recorded using special “symbols” – abbreviations for the markers of grammatical number, tense, mood, case of nouns, negative forms and stress.

Lastly, the paper offers methods for solving the problem of note-taking. The author offers an alternative technique of note-taking which has been worked out for the German language. The paper embraces the list of abbreviations, symbols and markers, the usage of which seems to be extremely productive in the interpreting practice.

**გერმანული ლიტერატურული კავშირები  
საქართველოსთან – არტურ ლაისტი  
და ქართველი მწერლები**

**GERMAN LITERARY CONNECTIONS WITH GEORGIA  
– ARTHUR LEIST AND GEORGIAN WRITERS**

**ნინო პოპიაშვილი**

**Nino Popiashvili**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ქართული ლიტერატურა გერმანულ ენაზე,  
არტურ ლაისტი, ქართულ-გერმანული ლიტერატურული  
ურთიერთობები

**Keywords:** Georgian literature in German, Arthur Laist, Georgian-  
German literary relations

გერმანული ლიტერატურული და საგანმანათლებლო სივრცე საქართველოს, როგორც კავკასიის ცენტრალურ ქვეყანას, სხვადასხვა ეპოქაში განსხვავებული ინტენსივობით უკავშირდებოდა. აღსანიშნავია განმანათლებლობის იდეალების გავრცელება გერმანიიდან ევროპის ცენტრალურ და აღმოსავლეთ ნაწილებში, მათ შორის, საქართველოში. ასევე, მე-16-მე-19 საუკუნეების გერმანული მოგზაურების, მწერლების, ისტორიკოსების: სალომონ შვაიგერის, იოჰან გულდენშტედტის, ფრიდრიხ მარტინ ფონ ბოდენშტედტის, და სხვების ჩანაწერები და დაკვირვებები საქართველოზე, რასაც დღემდე ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს.

გერმანელი მწერალი, ჟურნალისტი, მთარგმნელი, არტურ ლაისტი (1852-1927) მე-19 საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში დაინტერესდა საქართველოთი გერმანელი მწერლის, ფრიდრიხ მარტინ ფონ ბოდენშტედტის რჩევით. არტურ ლაისტი 1884 წლიდან რამდენჯერმე იმყოფებოდა საქართველოში ხანგრძლივად. გამოსცა რამდენიმე ნაშრომი ქართველების შესახებ, მათ შორის: "Georgien: Natur, Sitten und Bewohner" (ლაიფციგი, 1885); "Georgische Dichter" (ლაიფციგი 1887); Schota Rustaweli: "Der Mann Im Tigerfelle" (დრეზდენი, 1898); "Das Georgische Volk" (დრეზდენი, 1903) და სხვ. არტურ ლაისტი 1892 წლიდან საქართველოში დამკვიდრდა, აქტიურად მონაწილეობდა ქვეყნის ცხოვრებაში. 1906 წელს თბილისში დააარსა გერმანული სტამბა და გერმანულენოვანი გაზეთი "Kaukasische Post". 1923 და 1927 წლებში კი თბილისში გამოიცა არტურ ლაისტის თხზულებათა კრებული „საქართველოს გული“ ორ წიგნად. არტურ ლაისტი დაკრძალულია თბილისში, დიდუბის მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

მოხსენებაში ვისაუბრებთ გერმანული ლიტერატურული კავშირების შესახებ საქართველოსთან, ყურადღებას გავამახვილებთ არტურ ლაისტის მოღვაწეობაზე საქართველოში, იმ ლიტერატურულ და კულტურულ გავლენებზე, რაც არტურ ლაისტის მოღვაწეობამ მოახდინა საქართველოზე, მათ შორის, გერმანული სტამ-



ბისა და გაზეთის დაარსების საკითხებზე, ქართული პოეზიის გერმანულენოვან თარგმანებზე.

The German literary and educational space was connected with Georgia, as a central country of the Caucasus, with varying intensity in different eras. It is noteworthy that the ideals of the Enlightenment spread from Germany to the central and eastern parts of Europe, including Georgia. Also, the works of German travelers, writers, and historians of the 16th-19th centuries: Salomon Schweigger, Johann Güldenstädt, Friedrich Martin von Bodenstedt, Samuel Gottlieb Gmelin, Heinrich Julius von Klaproth, Daniel Gottlieb Messerschmidt and others' notes and observations about Georgia, which are still invaluable today. Among them was the first use of the Georgian font in printing, in 1608 by Salomon Schweigger. As well as the promotion of education in German universities of young Georgians who later became writers and famous public figures in the late 19th and early 20th centuries: Konstantine Gamsakhurdia, Ivane Javakhishvili, Mikheil Tsereteli, and others.

German writer, journalist and translator, Arthur Leist (1852-1927) became interested in Georgia in the early 1880s on the advice of German writer Friedrich Martin von Bodenstedt. Arthur Leist visited Georgia several times for long periods, starting in 1884. He published several works about Georgians. Among them, "Georgien: Natur, Sitten und Bewohner" (Leipzig 1885); "Georgische Dichter" (Leipzig 1887); Schota Rustaweli: Der Mann Im Tigerfelle (Dresden 1898); Das Georgische Volk (Dresden 1903) and others. Arthur Leist settled in Georgia from 1892 and actively participated in the life of the country. In 1906, he founded a German printing house and the German-language newspaper "Kaukasische Post" in Tbilisi. In 1923 and 1927, a collection of Arthur Leist's works "Sakartvelos guli" was published in Tbilisi in two volumes. Arthur Leist is buried in Tbilisi, in the Pantheon of Writers and Public Figures.

In the report, we will talk about German literary ties with Georgia, focusing on the work of German writer Arthur Leist in Georgia, the literary and cultural influences that Arthur Leist's work had on Georgia, including the establishment of a German printing house and newspaper, and German-language translations of Georgian poetry.

მოქმედებითი გვარის ზმნური ფუძეების  
კუმპისათვის ქართულში

ON THE SYNCOPE OF VERBAL STEMS  
IN THE ACTIVE VOICE

ნანა საგანელიძე

Nana Saganelidze

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ზმნური ფუძეები, სახელური ფუძეები,  
კუმპისათვის, უკუმპისათვის

**Keywords:** verbal stems, nominal stems, syncope, absence of  
syncope

ქართულში ზმნური ფუძეების კუმშვას ყურადღება მიაქცევს ფარნაოზ ერთელიშვილმა და ნორვეგიელმა ენათმეცნიერმა ჰანს ფოგტმა. მათმა კვლევებმა გვიჩვენა, რომ ფონეტიკური გარემო არ არის საკმარისი პირობა იმისა, რომ ზმნური ფუძეების კუმშვადობა-უკუმშველობას კანონის სახე მიეცეს.

ჩვენ შევეცადეთ, შეძლებისდაგვარად გაგვერკვია, რომელ ზმნურ ფუძეებში, სად და რა შემთხვევაში ხდება /ა/ და /ე/ ხმოვნების კუმშვა.

კვლევამ გვიჩვენა: ქართულ ენაში იკუმშება როგორც სახელური, ასევე ზმნური ფუძეები.

1. კუმშვადი სახელური ფუძეები ერთ და ერთზემეტმარცვლიანებია, განსხვავებით ზმნური ფუძეებისაგან, რომლებიც მხოლოდ ერთმარცვლიანებია. ერთმარცვლიანი ფუძეების კუმშვაშიც არის განსხვავება. CVS სტრუქტურის ზმნური ფუძეები იკუმშება, სახელური კი – არა. გამონაკლისებია: ბალი, ხანი და წელი (დედამ ბლის მურაბა მოხარშა; რა ხნისაა თქვენი შვილი? წლის დროებია... წელი არ იკუმშება, თუ სხეულის ნაწილია: ბებია წელის ტკივილმა შეაწუხა).
2. იკუმშება -ი, -ავ,-ებ და-ობ თემისნიშნიანი ზმნური ფუძეების ნაწილი.
3. კუმშვადი ზმნების საწყისის ფორმები შეკუმშულია (და-გვ-ა, გა-ჭრ-ა, შე-კვრ-ა, და-კვლ-ა, და-პყრ-ობ-ა).
4. აორისტის მესამე პირში იკუმშება ის ფუძეები, რომლებსაც მწკრივის ნიშნად მოუდის ი (გა-ვ-ჭერ-ი – გა-ჭრ-ა, შე-ვ-კარ-ი – შე-კრ-ა, და-ვ-ა-კელ-ი – და-ა-კლ-ო, და-ვ-ი-პყარ-ი – და-ი-პყრ-ო). აორისტის III პირში არ იკუმშება ის ფუძეები, რომლებსაც მწკრივის ნიშნად მოუდის ე ( და-ვ-გავ-ე – და-გავ-ა ).
5. აორისტში ი მწკრივისნიშნიანი ფუძეები იკუმშება ყველა მწკრივში, გარდა აორისტის I და II პირისა – ვ-ჭერ-ი – გა-ჭერ-ი, შე-ვ-კარ-ი – შე-კარი, და-ვ-კალ-ი – და-კალ-ი, და- ვ-ი-პყარ-ი – და-ი-პყარ-ი ).

6. აორისტში ე მწკრივისნიშნისანი ფუძეები არ იკუმშება: აორისტში, II კავშირებით-ში, II და III თურმეობითში (და-ვ-გავ-ე, და-ვ-გავ-ო, და-მ-ე-გავ-ა, და-მ-ე-გავ-ო-ს). სხვა შემთხვევებში იკუმშება.

The problem of syncope in verbal stems in Georgian has come under focus of the Georgian linguist Parnaoz Ertelishvili and his Norwegian counterpart Hans Vogt. Their studies have revealed that phonetic surrounding is not a sufficient condition for defining rules for syncope or lack of it in verbal stems.

The author sought to ascertain, as far as possible, as to in which verbal stems, where and in which cases the syncope of /a/ and /e/ vowels takes place.

The study has attested: In Georgian syncope occurs in both nominal and verbal stems.

1. Nominal stems subject to syncope have one or more syllables. As for verbal stems, syncope occurs only in those with a single syllable. The conditions in which syncope occurs in single-syllable stems vary as well. Syncope takes place in verbal stems of CVS structure, but not in nominal stems of the same structure. Exceptions are: ბადი, ხანი and წედი (ღეღამ ბდის მუხაბა მოხახშა; ხა ხნისაა თქვენი შვიდი? წდის გომობია... Syncope does not take place in წედი, if it designates a body part: ბებია წედის ჭკვივიღმა შეაწუხა).
2. A part of verbal stems with -i, -av and -ob thematic markers is subject to syncope.
3. Infinitive forms of verbs subject to syncope are syncopated (ღა-გვ-ა, გა-ჭხ-ა, შე-კვხ-ა, ღა-კვღ-ა, ღა-პყხ-ობ-ა).
4. Syncope occurs in third person forms of verbs with the stems taking -i screeve marker in Aorist (გა-ვ-ჭეხ-ი – გა-ჭხ-ა, შე-ვ-კახ-ი – შე-კხ-ა, ღა-ვ-ა-კვღ-ი – ღა-ა-კვღ-ო, ღა-ვ-ი-პყახ-ი – ღა-ი-პყხ-ო). Syn-

cope does not occur in stems with *-e* screeve marker in third person forms in Aorist (ღა-ვ-გავ-ე – ღა-გავ-ა).

5. Stems with *-i* screeve marker in Aorist get syncopated in third person forms of all screeves (ვ-ჭეხ-ი – გა-ჭეხ-ი, შე-ვ-კახ-ი – შე-კახ-ი, ღა-ვ-კად-ი – ღა-კად-ი, ღა- ვ-ი-ბეახ-ი – ღა-ი-ბეახ-ი), but not in first and second person forms.
6. Stems with *-e* screeve marker in Aorist do not get syncopated in forms of Aorist, Optative, Pluperfect and Subjunctive 3 screeves. In other cases, they get syncopated.

**თამაზ ჩხენკელი – ადამ მიცკევიჩის  
სონეტების მთარგმნელი**

**TAMAZ CHKHENKELI – TRANSLATOR  
OF ADAM MICKIEWICZ’S SONNETS**

**მარიამ ფილინა**

**Mariam Filina**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** ადამ მიცკევიჩის ქართული თარგმანები,  
„ყირიმის სონეტები“ ორსაუკუნოვანი ისტორია, თამაზ  
ჩხენკელი

**Keywords:** Georgian translations of Adam Mickiewicz, “Crimean  
Sonnets”, Two Centuries of History, Tamaz Chkhenkeli

მე-19 საუკუნის პირველ მესამედში საქართველოსა და პოლონეთში სოციალური და ისტორიული მოვლენები დაემთხვა რომანტიული ხელოვნების დაბადებასა და აყვავებას. რომანტიზმი თავისი თავისუფლებისმოყვარე გაბედულებით ჩრდილავს ყველა ეროვნულ-განმათავისუფლებელ და ბატონყმობის საწინააღმდეგო მოძრაობას, თავადაზნაურთა გამოსვლებსა და შეთქმულებებს.

საქართველოსთვის ადამ მიცკევიჩის პიროვნებისადმი მიმართვა საქართველოში ბევრად უფრო ფართო და შინაარსიანი მოვლენა იყო, ვიდრე პოეტის შემოქმედებისადმი მიმართვა. მიცკევიჩი პოეტის სიცოცხლეშივე იქცა პოლონური სულისა და პოლონელი ხალხის დიდი შემოქმედებითი პოტენციალის ერთგვარ სიმბოლოდ. პოლონელი მკვლევრები გაკვირვებულნი არიან, როცა იგებენ, რომ მიცკევიჩის პირველი თარგმანები ქართულად 1838 წელს გამოჩნდა. უცნობია, გამოიყენა თუ არა მთარგმნელმა სხვის მიერ შედგენილი პნკარედები.

მიცკევიჩის პოეზიის პირველი თარგმანები გიორგი ერისთავის სახელს უკავშირდება. იგი 1832 წელს ქართველი თავადაზნაურობის შეთქმულებაში მონაწილეობისთვის პოლონეთში გადაასახლეს - იყო შეთქმულების ერთ-ერთი ყველაზე ახალგაზრდა მონაწილე. ის შეხვდა პოლონეთის კულტურის მოღვაწეებს და იმ დონეზე ისწავლა ენა, რომ საქართველოში დაბრუნებისთანავე თარგმნა მიცკევიჩის რამდენიმე „ყირიმული სონეტი“.

1852 წელს გ. ერისთავმა დააარსა ჟურნალი „ცისკარი“. მის პირველ ნომერში, სხვა ლექსებთან ერთად, დაიბეჭდა პეტრარკას სონეტი “Benedetto il glorio”, გიორგი ერისთავის არანჟირებით მიცკევიჩის თავისუფალი თარგმანიდან. ამრიგად, ქართული ლიტერატურული ჟურნალის დაბადება სამუდამოდ ასოცირდება პოლონელი რომანტიკოსის სახელთან. გ. ერისთავის მიერ თარგმნილი „ყირიმის სონეტები“ დაიბეჭდა „ცისკრის“ შემდეგ ნომერებში.



შემდგომში მიცკევიჩის პოეზიის თარგმანები XIX საუკუნის მეორე ნახევარში ბევრ ქართულ ჟურნალში დაიბეჭდა და ქართველ პოეტ-მთარგმნელთა ყოველი თაობა დღემდე მიმართავს პოლონელი გენიოსის პოეზიას, მათ შორის სონეტებს.

მე-20 საუკუნეში მიცკევიჩის თარგმანები შეასრულეს გამოჩენილმა ქართველმა პოეტებმა: ი. აბაშიძემ, გრ. ლორთქიფანიძემ, კ. კალაძემ, კ. ჭიჭინაძემ და სხვებმა. ეს ცალკე კვლევის თემაა.

1986 წელს გამოქვეყნდა მიცკევიჩის პოეტური მემკვიდრეობისადმი მიძღვნილი ტომი „მსოფლიო ლიტერატურის ბიბლიოთეკის“ სერიაში. ეს ტომი მოიცავს ათწლეულების განმავლობაში შექმნილი პოლონური კლასიკის ყველაზე მნიშვნელოვან თარგმანებს. გამოცემაში შესულია რამდენიმე პოეტის, მათ შორის თამაზ ჩხენკელის, მიერ თარგმნილი 18 „ყირიმის სონეტი“.

თამაზ ჩხენკელის, როგორც მთარგმნელის, ინტერესები უჩვეულოდ ფართოა: ჩინური და ინდური ლიტერატურა, ჰომეროსის „ოდისეა“, დანტე ალიგიერი, ალექსანდრე პუშკინი, უოლტ უიტმენი, ხორხე ლუის ბორხესი... მისი თარგმანების ჩამოთვლაც კი რთულია და კიდევ უფრო რთული წარმოსადგენია, რომ ერთმა ადამიანმა შეძლო, დაუფლებოდა თარგმანთა ასეთ მოცულობას უმაღლეს პოეტურ დონეზე.

მნიშვნელოვანია თამაზ ჩხენკელის დამოკიდებულება ადამ მიცკევიჩის პოეზიისადმი. მან თარგმნა რამდენიმე ლექსი და „ყირიმის სონეტების“ ნაწილი, და, უდავოდ, ეს პოლონელი გენიოსის ერთ-ერთი საუკეთესო თარგმანია ქართულად.

როდესაც გ. ერისთავმა 1830-იანი წლების შუა ხანებში შეასრულა თავისი პირველი თარგმანები, მას არ უფიქრია ზუსტ თარგმანზე – ასეთი ამოცანა მის ეპოქაში საერთოდ არ არსებობდა. დღეს მის თარგმანებს ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

სონეტის თარგმნა ერთ-ერთი ყველაზე რთული ამოცანაა, რადგან მისი რომელიმე კომპონენტის დარღვევა იწვევს მაგიის

გაქრობას. როდესაც ითარგმნება სონეტის ფორმის მსოფლიოში ცნობილი ნიმუშები, ამოცანა უკიდურესად რთული ხდება.

ჩვენს ნაშრომი განიხილულია თამაზ ჩხენკელის მთარგმნელობითი მიდგომა სონეტ „პოტოცკაიას საფლავის“ მაგალითზე, რომელიც ოდესღაც თარგმნა გ. ერისთავმა. თ. ჩხენკელმა არა მხოლოდ გადმოსცა სემანტიკური შინაარსი, არა მხოლოდ შეინარჩუნა ფორმა, არამედ გადმოსცა ა. მიცკევიჩის ლექსის მაგია. სონეტი ორგანულად ჟღერს, იგრძნობა მისი შინაგანი მელოდიკა.

In the first term of the 19th century, social and historical events in Georgia and Poland coincided with the birth and flourishing of Romantic art. Romanticism, with its freedom-loving boldness, overshadowed all national-liberation and anti-serfdom movements, noble speeches and conspiracies.

The appeal to the personality of Adam Mickiewicz in Georgia was a much broader and more meaningful phenomenon than the appeal to the poet's work. Adam Mickiewicz became a symbol of the Polish spirit and the great creative potential of the Polish people for Georgia even during the poet's lifetime. Polish researchers are still surprised to learn that the first translations of Mickiewicz into Georgian appeared in 1838.

The first translations of Mickiewicz's poetry are associated with the name of Giorgi Eristavi. He was exiled to Poland for participating in a conspiracy of the Georgian nobility in 1832. He met with Polish cultural figures and learned the language so well that upon his return to Georgia he translated several of Mickiewicz's "Crimean Sonnets".

In 1852, G. Eristavi founded the magazine "Tsiskari". And in its very first issue, along with other poems, the sonnet "Benedetto il glorio" by Petrarca was published, translated by Giorgi Eristavi from a free translation by Mickiewicz. Thus, the birth of the Georgian literary magazine is forever associated with the name of the Polish romantic. "Crimean Son-

nets” translated by G. Eristavi were published in the following issues of “Tsiskari”.

Later, translations of Mickiewicz’s poetry were published in many Georgian magazines of the second half of the 19th century, and every generation of Georgian poet-translators to this day turns to the poetry of the Polish genius, including sonnets. In the 20th century, translations of Mickiewicz were made by outstanding Georgian poets I. Abashidze, Gr. Abashidze, K. Lortkipanidze, K. Kaladze, K. Chichinadze and others. This is the topic of a separate study.

In 1986, a volume dedicated to Mickiewicz’s poetic legacy was published in the “Library of World Literature” series. This volume includes all the most significant translations of the Polish classic, created over the course of decades. This edition includes 18 “Crimean Sonnets” translated by several poets, including Tamaz Chhenkeli.

Tamaz Chkhenkeli’s interests as a translator are unusually broad. These include Chinese and Indian literature, Homer’s “Odyssey”, Dante Alighieri, Alexander Pushkin, Walt Whitman, Jorge Luis Borges... It is difficult to even list his translations, and it is even more difficult to imagine that one person could master such a volume of translations at the highest poetic level.

Tamaz Chkhenkeli’s turn to Adam Mickiewicz’s poetry is important. He translated several poems and part of “Crimean Sonnets,” and, definitely, this is one of the best translations of the Polish genius into Georgian.

When G. Eristavi made his first translations in the 1830s, he did not set himself the task of achieving the most accurate rendering: such a task did not exist in his era. Today, his translations have historical significance.

Translating a sonnet is one of the most difficult tasks, since the violation of any of its components leads to the disappearance of the magic.

When world-famous examples of the sonnet form are translated, the task becomes extremely difficult.

In our work, we consider the translation approach of Tamaz Chkhenkeli using the example of the sonnet “Potocka’s Grave”, which was once translated by G. Eristavi. T. Chkhenkeli not only conveyed the semantic content, or preserved the form, but also conveyed the magic of A. Mickiewicz’s verse. The sonnet sounds organically, its internal melody is felt.

პარსკვლავთა საუბარი, როცა ანტიკური  
სახელები დუმან  
(ერთი მაგალითი)

CONVERSATION BETWEEN STARS WHEN ANCIENT  
NAMES KEEP SILENT  
(A CASE STUDY)

ნიკოლოზ შამუგია  
Nikoloz Shamugia

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: გალაკტიონი, ანტიკურობა, „ოდისეა“  
Keywords: Galaktion, antiquity, “Odyssey”

ამა თუ იმ ერის მწერლობაში ანტიკური თემატიკის კვლევისას, უპირველეს ყოვლისა, ისეთ პასაჟებს ეძებენ, სადაც ძველბერძნულ-რომაული მითოლოგიის პერსონაჟები, იმდროინდელი პიროვნებები თუ ადგილებია ნახსენები. ასეთ შემთხვევაში კავშირი, უშუალო თუ არაპირდაპირი, ახალ და ანტიკურ ტექსტებს შორის უდავოა და დაკვირვებას ითხოვს, რა დატვირთვას იძენს მწერლის მიერ ანტიკური თემატიკის გამოყენება, რეცეფცია.

გაცილებით საინტერესოა და რთულიც იმ მსგავსებათა გამოვლენა, რომლებიც ოდენ გარკვეულ მხატვრულ სახეში, სიუჟეტის დეტალში ან თუნდ ერთ ეპითეტში საცნაურდება კლასიკური მწერლობის ნიმუშებთან. ასეთ შემთხვევაში კავშირი ახალ და ანტიკურ ტექსტებს შორის შეიძლება სულაც არ არსებობდეს და მსგავსება შემთხვევითი იყოს. დამთხვევის გამოვლენისას მეთოდოლოგიურად შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ გვიანდელი ავტორი ანტიკურობიდან იღებდეს რაიმეს. მსგავსება ორ მხატვრულ სახეს შორის მით უფრო მნიშვნელოვანია, რაც უფრო შთამბეჭდავია თითოეული მათგანი. მისი წარმოჩენის შემდეგ უფრო ღრმა დატვირთვითა და ახლებური კუთხით ვკითხულობთ არა მხოლოდ ახალ ნაწარმოებს, არამედ თვით ძველსაც, ანტიკურს. ამ კუთხით საინტერესოა გალაკტიონის „მამული“. პოეტის მიერ დახატული მოხუცი მამის სახეში მართლა ილია, აკაკი ან მამა ღმერთი იგულისხმება, როგორც აქამდე თქმულა, თუ ეს სახე სინამდვილეში რაიმე სხვა მხატვრულ სახეს ესაუბრება, თანაც ანტიკურს?

When studying how ancient literature influenced later literary traditions, it is usually cases of classical reception that are studied, i.e. cases when ancient mythological or historical figures or ancient geographical places are mentioned in new texts. In such instances, a connection, whether direct or indirect, between two texts is undeniable and the study aims to reveal if special importance is attached to the use of ancient themes by a later writer.

However, it is more interesting and even more challenging to uncover the parallels when no ancient names are given in a later text and analogies can be discerned only in motifs and imagery. Exploring such parallels can also enrich our understanding of classical literature itself. This is a reader-based approach, meaning that our experience as readers moves in all directions, and that our knowledge mediates our reading and understanding of an ancient text. In this regard, I analyze “Fatherland” by Galaktion. Is it really Ilia, Akaki or God the Father who are meant in “old father”, as has been suggested, or does the imagery in reality converse with an ancient one?





**40-იანი წლების თბილისის ლიტერატურული  
ცხოვრების ისტორიიდან – ქეთევან  
ანანიაშვილის ლიტერატურული წრე**

**FROM THE HISTORY OF TBILISI'S LITERARY LIFE  
IN THE 1940S – THE LITERARY CIRCLE  
OF KETEVAN ANANIASHVILI**

**ნინო წერეთელი**

**Nino Tsereteli**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი  
Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი  
Faculty of Humanities

**საკვანძო სიტყვები:** 40-იანი წლები, ლიტერატურული წრე,  
კომუნისტური იდეოლოგია

**Keywords:** the 1940s, a literary circle, communist ideology

30-იანი წლებიდან, სტალინური ტერორის პირობებში, საბჭოთა კავშირში შემავალი რესპუბლიკების დედაქალაქებსა და სხვა ქალაქებში პიონერთა სასახლეები და პიონერთა სახლები დაარსდა. თბილისში, ყოფილი მეფისნაცვლის სასახლე და მოგვიანებით ამიერკავკასიის ადმინისტრაციულ ცენტრად აღიარებული მნიშვნელოვანი შენობა, რეკონსტრუქციის შემდეგ (1937 წლიდან), 1941 წლის 2 მაისს საზეიმოდ გაიხსნა.

დანახებულება, რომელიც ლავრენტი ბერიას სახელს ატარებდა, ოქტომბრელთა და პიონერთა იდეური, კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდის ძირითადი კერა უნდა ყოფილიყო. ამ პერიოდიდან პიონერთა სასახლეში ჩამოყალიბდა ლიტერატურული წრე, რომელსაც ხელმძღვანელობდა ქეთევან ანანიაშვილი. წრის ყველაზე აქტიური წევრი ლანა ლოლობერიძე ომის უმძიმესი პერიოდის პიონერთა სასახლეს „საბჭოთა დროის პარადოქსს“ უწოდებს და წერს: „ის, რომ პიონერთა სასახლე, რომელიც ყველა პარამეტრით კომუნისტური იდეოლოგიის დამკვიდრების კერა უნდა ყოფილიყო, იმ დროისთვის სრულიად მიუღებელი, სხვაგვარი აზროვნების, ანუ დისიდენტობის სავანედ იქცა. შემთხვევითობის ძალით თუ კანონზომიერად, ლიტერატურის კაბინეტში ერთდროულად აღმოვჩნდით ბავშვები, რომელთა სახელები დღეს ბევრის მთქმელია: რეზო თაბუკაშვილი, ზურაბ კაკაბაძე, გურამ ასათიანი, თამაზ ჩხენკელი, რეზი თვარაძე, მელიორ სტურუა, რამაზ პატარიძე, არჩილ ბეგიაშვილი და სხვ“. როგორც ლანა ლოლობერიძე აღნიშნავს, ეს ბიჭები თავის თავს „ზედმეტი თავმდაბლობის გარეშე პოეზიის ოაზისთან შემოკრებილ ბედუინებს“ უწოდებდნენ. წრის ყველა წევრი წერდა ლექსებს, კრიტიკის ქარცეცხლში ატარებდნენ ყველას და ყველაფერს და, იმავდროულად, ნამდვილი პოეზია უყვარდათ. წრის წევრები გამოსცემდნენ საკუთარ ხელნაწერ ჟურნალს - „პატარა ეჭვანი“, რომელიც ახალი ლიტერატურული ნიმუშების შეფასებაში ყველაზე პირუთვნელი მსაჯული იყო. ჟურნალს წრის წევრები მხატვრულად თავად აფორმებდნენ. ქეთევან ანანიაშვილი ომისდროინდელ თბილისში წინასწარ შემუშავებული საინტერესო ლიტერატურული

მარშრუტებითაც ქმნიდა მოსწავლეებისთვის განსაკუთრებულ სამყაროს, რომელსაც წრის წევრები მოგონებებში აცოცხლებენ.

ყურადღებას იპყრობს ამ პერიოდიდან შემორჩენილი მწირი საარქივო მასალა ქეთევან ანანიაშვილის ჩანაწერებით. ჩანაწერები ცხადყოფს, რომ ეს წრე განსაკუთრებულ როლს ასრულებდა 40-იანი წლების თბილისის ლიტერატურულ-კულტურულ ცხოვრებაში თავისი მასშტაბურობით, საინტერესო და მრავალფეროვანი ლიტერატურული საღამოებით, მნიშვნელოვანი სამეცნიერო მოხსენებებით, დისპუტებითა თუ შემოქმედებითი შეხვედრებით.

During the Stalinist terror, since the 1930s, pioneer palaces and houses were established across the Soviet Union in the capitals of republics and major cities. In Tbilisi, the former Viceroy's Palace, which was later recognized as the Transcaucasian administrative center, underwent reconstruction (starting in 1937). On May 2, 1941, it reopened with an elaborate ceremony.

Named after Lavrenti Beria, this institution was intended to serve as the main center for educating Octobrists and pioneers in the ideological and communist spirit. During this period, a literary circle emerged within the Palace of Pioneers, led by Ketevan Ananiashvili. Lana Ghoghoberidze, one of the most active members of the circle, referred to the Palace of Pioneers during the wartime years as a “paradox of the Soviet era”. She writes: “The fact that the Palace of Pioneers, which by all parameters should have been the center for the establishment of communist ideology, became at that time a haven for a different kind of thinking, dissidence, which was completely unacceptable. By coincidence or perhaps by design, we, the children, whose names speak volumes today, found ourselves together in the literature cabinet: Rezo Tabukashvili, Zurab Kakabadze, Guram Asatiani, Tamaz Chkhkenkeli, Rezi Tvaradze, Melor Sturua, Ramaz Pataridze, Archil Begiashvili, etc.” According to Ghoghoberidze, the boys in the group called themselves “Bedouins gathered at the oasis of poetry without too much humility”. All members of the circle actively

wrote poetry, critiqued everything and everyone, and shared a profound love for authentic poetry. They even published their own handwritten magazine, “Patara Ezhvani”, which was considered the ultimate judge of new literary works. The circle’s members artistically decorated the magazine themselves. In wartime Tbilisi, Ketevan Ananiashvili created a special environment for her students, devising engaging literary routes and experiences that the circle members fondly recall in their memories.

Despite the limited archival material preserved from this period, the records of Ketevan Ananiashvili provide invaluable insights. They reveal the significant role this group played in Tbilisi’s literary and cultural life of the 1940s, organizing large-scale, diverse literary evenings, important scientific reports, debates, and creative meetings.

## სარჩევი Table of Contents

<b>პროგრამა</b> .....	3
<b>თეზისები</b> .....	7
<b>ლეილა ბახტაძე</b> .....	7
თანამედროვე ებრაული საქმიან-ოფიციალური ენიდან თარგმნის თავისებურებანი <b>Leila Bakhtadze</b> Features of Translation from Modern Hebrew Official-Business Language	
<b>ნაირა ბეპიევი</b> .....	11
ქართულ-ოსური უძველესი წიგნების თარგმანების ისტორიიდან (იოანე იაღლუზიძე-გაბარაევი) <b>Naira Bepievi</b> From the History of Translations of Ancient Georgian-Ossetian Books (Ioane Ialghuzidze-Gabaraev)	
<b>მამუკა ბუცხრიკიძე</b> .....	15
„ქებათა ქების“ იდეურ-სტრუქტურული რემინისცენციები „ვეფხისტყაოსანში“ <b>Mamuka Butskhrikidze</b> Ideological and Structural Reminiscences of “The Song of Songs” in “The Knight in the Tiger’s Skin”	
<b>დარეჯან გარდავაძე</b> .....	19
„სხვის“/„უცხოს“ ხატი იბრაჰიმ ალ-ქუნის რომანში „ოქროს ქვიშა“ <b>Darejan Gardavadze</b> The Image of the Other/Stranger in Ibrahim al-Koni’s Novel “Gold Dust”	

<b>ნანა გაფრინდაშვილი</b> .....	23
ტირე, როგორც პოეტურ ინსტრუმენტი, კარლო კაჭარავას შემოქმედებაში	
<b>Nana Gaprindashvili</b>	
The Dash as a Poetic Tool in the Works of Karlo Kacharava	
<b>მანანა გელაშვილი</b> .....	29
თამაზ ჩხენკელის თარგმანების კრებული „მარიოტა“	
<b>Manana Gelashvili</b>	
<i>Mariota</i> : A Volume of Translations by Tamaz Chkhenkeli	
<b>ელიზბარ ელიზბარაშვილი</b> .....	35
შუმერულ-აქადური მითოსის აზრი-გენერატორი – „ნეტარი ადგილი“ სამყაროში	
<b>Elizbar Elizbarashvili</b>	
Sumerian-Akkadian Myth-Generator – “Blessed Place” in the Universe	
<b>ქეთევან ლორთქიფანიძე, ნანა კაჭარავა</b> .....	39
რომანი „უხმო ქვითინი – ქართველთა გადასახლება“	
<b>Ketevan Lortkipanidze, Nana Katcharava</b>	
The Novel “The Silent Cry – The Exile of Georgians”	
<b>სოფიო მუჯირი</b> .....	43
ნოტაციის ტექნიკის განვითარების საკითხი გერმანული ენის მაგალითზე	
<b>Sophie Mujiri</b>	
The Development of the Technique of Note-taking on the Example of the German Language	
<b>ნინო პოპიაშვილი</b> .....	47
გერმანული ლიტერატურული კავშირები საქართველოსთან – არტურ ლაისტი და ქართველი მწერლები	
<b>Nino Popiashvili</b>	
German Literary Connections with Georgia – Arthur Leist and Georgian Writers	

<b>ნანა საგანელიძე</b> .....	51
მოქმედებითი გვარის ზმნური ფუძეების კუმშვისათვის ქართულში	
<b>Nana Saganelidze</b>	
On the Syncope of Verbal Stems in the Active Voice	
<b>მარიამ ფილინა</b> .....	55
თამაზ ჩხენკელი – ადამ მიცკევიჩის სონეტების მთარგმნელი	
<b>Mariam Filina</b>	
Tamaz Chkhenkeli – Translator of Adam Mickiewicz’s Sonnets	
<b>ნიკოლოზ შამუგია</b> .....	61
ვარსკვლავთა საუბარი, როცა ანტიკური სახელები დუმან (ერთი მაგალითი)	
<b>Nikoloz Shamugia</b>	
Conversation between Stars when Ancient Names Keep Silent (A Case Study)	
<b>ნინო წერეთელი</b> .....	65
40-იანი წლების თბილისის ლიტერატურული ცხოვრების ისტორიიდან – ქეთევან ანანიაშვილის ლიტერატურული წრე	
<b>Nino Tsereteli</b>	
From the History of Tbilisi’s Literary Life in the 1940s – The Literary Circle of Ketevan Ananiashvili	

